

ქ.თბილისი

2019 წლის 18 სექტემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2019 წლის 18 სექტემბერს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ლაშა მაჭავარიანი, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს სამეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა უფროსის ზ. ბაკურაძის მომართვა, მატჩის მეთვალყურის ი. სახლთხუციშვილის ოქმი, თანამსაჯის კახა გელოზიას მიერ მოწოდებული ინფორმაცია, მთავარი მსაჯის ა, პოდოსიანის მოხსენებითი ბარათი, ამა წლის 8 სექტემბერს, ჭაბუკთა „ა“ ლიგის მატჩზე, მარნეულის „არმაზი“-სა და ქუთაისის „აია 1“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. მარნეულის „არმაზი“-ს მორაგბე დავით ქევიშვილი, არასპორტული საქციელისთვის რასაც მოჰყვა გუნდური ჩხუბი, გაძევებული იქნა მოედნიდან წითელი ბარათით მსაჯის მიერ.
2. ქუთაისის „აია 1“-ს მორაგბე იაგო ხაბულიანი - კონფლიქტის პროვოცირება.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.1, 2.2.7, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი #1-ის 2.1 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. მარნეულის „არმაზი“-ს მორაგბე დავით ქევიშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
2. ქუთაისის „აია 1“-ს მორაგბე იაგო ხაბულიანი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.
3. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.1 პუნქტი და კლუბ მარნეულის „არმაზს“ ჭაბუკთა „ა“ ლიგაში დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/